*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

*(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თამთა კობახიძე

**წევრები:**

ციალა გაგნიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ხათუნა ნოზაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ეკა სიმსივე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

როლანდ შავაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ნაირა მამუკელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ავთანდილ ცნობილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჯახველაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

თამარი მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ნინო მახარაშვლი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 245429317 |

### II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი ბათუმი |
| იურიდიული მისამართი | ქ.ბათუმი, ა.გრიბოედოვის #35 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ.ბათუმი, ა.გრიბოედოვის #35 |
| საფოსტო ინდექსი | 6004 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | 8school.edu.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Batumi8@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 5 77 281228 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | #838029, 06.07.2023 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 26-27 ივლისი, 2023 წ. |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | დაწყებითი | ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურის | ქართული ენა | ქ.ბათუმი, ა.გრიბოედოვის #35 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | | |
| | საბაზო | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქ.ბათუმი, ა.გრიბოედოვის #35 |
| | საშუალო | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქ.ბათუმი, ა.გრიბოედოვის #35 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | **X შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | **☐ შეესაბამება**<br>**X მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☐ შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **X შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>2 200 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br><br>☐ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br><br>☒ | სკოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს აღნიშნული მოსწავლეთა რაოდენობის მიღებას, თუ სწავლებას განახორციელებს ცვლებში და შესრულდება დამატებითი შენობის აშენებასთან დაკავშირებული პირობა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ" შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა".*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ***3.1.2.3*** | სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; | ვიზიტის ეტაპზე დასასრულებელი იყო პირადი საქმეებ შევსება (2020 წლის შემდეგ მიღებული პერსონალი |

*1* გარდა მეორე სტანდრტის ნაილზივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და | „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობი წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვი ნასამართლეობის“ ცნობებით, „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზ უფლების ჩამორთმევის შესახებ. არგუმენტირებულ პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად წარმოადგინ ზემოაღნიშნული ცნობები, თუმცა დასრულების თარიღა მითითებულია 2024 წლის 1 სექტემბერი. |
| *ინდიკატორი 3.4.1.1.* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | ვიზიტის ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციებშ მართვის გეგმა, შეთანხმებული შესაბამის ორგანოსთან, ასევ შენობის მდგრადობის დოკუმენტი. შესაბამისობის გეგმის და არგუმენტირებული პოზიციის თანახმად სკოლა წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზი ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულებ რომლის მიხედვითაც ითხოვს შენობის ტექნიკურ მდგომარეობის შესაფასებლად ექსპერტიზის ჩატარება სკოლამ ასევე წარმოადგინა მიწერილობა საგანგებ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | სიტუაციების მართვის სამსახურთან. დასრულების თარიღა განსაზღვრულია 15.06.2024. |
| *3.5.1.1.* | სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; | დაწესებულებაში უნდა გაკეთდეს შესაბამისი კვლევები დ დამატებით უნდა აშენდეს სამსართულიანი შენობა 7015 კვ.მ ზე. ამ კომპონენტის გარეშე სკოლა ვერ შეძლებს მოთხოვნილ რაოდენობის მოსწავლეების მიღებას.დაწესებულებ არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმი თანახმად, აღნიშნულის დასრულება უნდა მოხდეს 2024 წლი 1 დეკემბრისათვის. |
| *3.5.1.3.* | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; | ნაგებობა სრულად არ არის ადაპტირებული და არ ქმნი სწავლების ინკლუზიურ გარემოს სრულყოფილად დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციისა დ შესაბამისობის გეგმის თანახმად, აღნიშნული დაკმაყოფილება უნდა მოხდეს 2024 წლის 30 ნომებრისათვის |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N..* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობ რეკომენდაცია* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N1*** | **სკოლის ფილოსოფია** | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი N...* | | ............... |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი N....* | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებით საფეხური)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N.2.1.1.2* | კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; | დაწყებით საფეხურზე ყველა საგნის კურიკულუმი სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი, თუმცა სკოლას აქვს მზაობა ახალ სასწავლო წლისათვის შემუშავებული ჰქონდეს საგნობრივ კურიკულუმები. |
| **2.2.1.1.** | კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალურ ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრ ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები | დაწებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან მიმართებით ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. |
| **2.2.1.4.** | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება | სამივე საფეხურზე უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელ შეფასების რუბრიკა კომპლექსრი დავალებების პროდუქტ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

| | | |
|---|---|---|
| | მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | შესაფასებლად, რომლის კრიტერიუმები გამომდინარეობ ცნებებიდან და მკვიდრი წარმოდგენებიდან. განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკა თემის ბოლოს მოსწავლეთა შედეგები შესაფასებლად, რომლის კრიტერიუმები დაემიზნება ცნებას დ შესაბამისად შედეგების შეფასების ინდიკატორებს. |
| *2.2.1.5.* | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; | მათემატიკასთან მიმართებით დასახვეწია კურიკულუმები ჩარჩოები, შესასწორებელია მე -3 კლასის სამიზნე ცნებათ ქვეცნებები. მე-5 და მე-6 კლასებში დასამატებელია სამიზნე ცნებებ ქვეცნებები. მისათითებელია მაგალითები შედარებისათვის. |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N.2.1.1.2* | კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; | საბაზო საფეხურზე ყველა საგნის კურიკულუმი სრულყოფილად ა არის წარმოდგენილი, თუმცა სკოლას აქვს მზაობა ახალი სასწავლ წლისათვის შემუშავებული ჰქონდეს საგნობრივი კურიკულუმები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | | |
|---|---|---|
| 2.2.1.4. | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | სამივე საფეხურზე უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი დ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელ შეფასების რუბრიკა კომპლექსრი დავალებების პროდუქტ შესაფასებლად, რომლის კრიტერიუმები გამომდინარეობ ცნებებიდან და მკვიდრი წარმოდგენებიდან. განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკა თემის ბოლოს მოსწავლეთა შედეგებ შესაფასებლად, რომლის კრიტერიუმები დაემიზნება ცნებას დ შესაბამისად შედეგების შეფასების ინდიკატორებს. |
| ***2.2.1.5.*** | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფთან მიმართები მე-7 და მე-9 კლასების ისტორიის კურიკულუმებში უნდ განისაზღვროს კონტექსტ მაგალითები და მაგალითებ შედარებისთვის. |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი | *რჩევა* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

| | | |
|---|---|---|
| | (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური) | |
| *ინდიკატორი N.2.1.1.2* | კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; | საშუალო საფეხურზე ყველა საგნის კურიკულუმი სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი, თუმცა სკოლას აქვს მზაობა ახალ სასწავლო წლისათვის შემუშავებული ჰქონდეს საგნობრივ კურიკულუმები. |
| ***2.2.1.4.*** | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | სამივე საფეხურზე უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომპლექსრი დავალებების პროდუქტის შესაფასებლად, რომლის კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნებებიდან და მკვიდრი წარმოდგენებიდან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თემის ბოლოს მოსწავლეთა შედეგების შესაფასებლად, რომლის კრიტერიუმები დაემიზნება ცნებას და შესაბამისად შედეგების შეფასების ინდიკატორებს. |
| ***2.2.1.5.*** | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფთან მიმართებით საშუალო საფეხურზე საქართველოს ისტორიის კურიკულუმ გაიწეროს სრულყოფილად გეოგრაფიის მე-10 კლასის კურიკულუმ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | გაიწეროს სრულყოფილად და ყველა თემაში დამუშავდეს ყვე ცნება. |

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულბათ, რომ უსაფრთხო და წამახალისებელ გარემოს შექმნით სკოლა მოსწავლეების წარმატებული მომავლისათვის მოამზადებს, უზრუნველყოფს განათლების სრულ მისაწვდომობას და ერთნაირ მოლოდინს ყველა მოსწავლისათვის, სწავლა–სწავლების პროცესში საფეხურეობრივი სტანდარტების და წლიური პროგრამების ძირეული პრინციპების დაცვას, მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. ძირითად მისიასთნ ერთად სკოლას საფეხუებრივად აქვს დაყოფილი საფეხურის შესაბამისი მისია, რომელიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და თანხვედრაშია ზოგადი განათლებს ეროვნულ მიზნებთან. **ინდიკატორი დამკაყოფილებულია.**
2. სკოლა მდებარეობს ბათუმის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, რომელიც მიმდებარე რაიონებისათვის ხელმისაწვდომია მისასვლელად. სკოლაზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. მაგალითად, მომდევნო სასწავლო წლითვის 7 პარლელური ფინანსური კლასია მიღებული, თუმცა მაღალი მოთხოვნა მშობელთა მხროდან მაინც რჩება. სკოლაში შესვლისთანავე სკოლის დერეფანში გვხდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები,სკოლის უფლეები და ვალდებულებები, მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა თვითმმათველობის შესახებ სხვადსახვა წესების ამონარიდები კედლებზე გამოკრული პოსტერებს სახით, ხოლო სკოლის პირველ და მეორე სართულზე განთავსებული საინფრმაციო დაფა აღწერს სასკოლო ცხოვრების ყოველდღიურობას. მაგალითად, სკოლის რეჟიმის ბრძანება ცვლების გრაფიკი და ა.შ. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა და შესაბამისად გასული სასწავლო წლის ინფორმაციები იყო წარმოდგენილი. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით აღნიშნული დაფებს აქტიურად იყენებენ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის. სკოლას დაჭერილი აქვს საკუთარი ნიშა გარშემო არსენულ თემში და საკუთარი მისიით და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს სოციო-კულტურულ სივრცეში. სკოლას იმ საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე უსაფრთოების ზომების მიღებასთან ერთად ჰყავს მრჩეველთა საბჭო, სკოლის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის N01-03/8 ბრძანებით შექმნილი, რომელიც შედგება 9 წევრისგან. სკოლის მიერ წარმოდგენილია მრჩევლთა საბჭოს ოქმები, მაგალითად ოქმი #8, რომელშიც განხილულია სკოლაში წამოჭრლი

გამოწვევბი, როგორიცაა მოსწავლეთა დაგვიანება გაკვეთილებზე, დერეანში მათი მიმოსვლა საგაკვეთილო პროცესისი დროს და ა.შ. **ინდიკატორი დამკაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, (ოქმი #3), რომელიც თავისი შემადგენლობით უკვე წარმოდგენილია სასკოლო საზოგადების ყველა წევრისგან. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით კი ჩანს, რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად არიან ჩართულები სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში. სკოლამ დამატებით წარმოადგინა უკვე 2023 წლის 7 ივლისის დირექტორის #01-0376 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა გუნდი (- სკოლის დირექცია, მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე, და უშულაოდ იქნება ჩართული სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებებს შემუშავებასა და სასკოლო საზოგადოებასთან სამუშაო პროცესში ჩართული. **ინდიკატორი დამკაყოფილებულია.**
4. სკოლას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი, სადაც საჯაროდ არის გამოტანილი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების ნაწილი, სკოლაში შესვლისთანავე ვხვდებით ბანერებს, რომლითაც სკოლის სტატეგიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია გაზიარებულია სკოლაში შემომსვლელი პირებისთვის. მისია, ხედვა ღირებულებები კი ამ დოკუმენტებს შორისაა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამავედროს სკოლამ წარმოადგინა მშბელთა კრების ოქმი #1, რომელშიც ერთ-ერთ საკითხად წარმოდგენილია განსახილვევლად სკოლის მისიის, ხედვსა და ღირებულებები. სასკოლო სასწავლო გეგამა, რომელიც შეთახმებულია სამეურვეო საბჭოსთან, ხოლო დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (ოქმი#6) ანალოგიურად კანომდებლობის შესაბამისად აღნიშნულ სტრუქტურული ერთეულები წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების სახით და შესაბამისად გაზიარებულია მათ მიერ. **ინდიკატორი დამკაყოფილებულია.**
5. სკოლას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი, სადაც საჯაროდ არის გამოტანილი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების ნაწილი, სკოლაში შესვლისთანავე ვხვდებით ბანერებს, რომლითაც სკოლის სტატეგიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია გაზიარებული სკოლაში შემომსვლელი პირებისთვის. მისია, ხედვა ღირებულებები კი ამ დოკუმენტებს შორისაა და საჯაროდაა ხელმისწავდომი. **ინდიკატორი დამკაყოფილებულია.**
6. სკოლის სახელწოდება (სსიპ-ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლა), რომელიც განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრისა და 2017 წლის 16 მარტის

N194 „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებების შესაბამისად, სრულად შეესაბამება სკოლის სტატუსს. **ინდიკატორი დამკაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩევეკთა საბჭოს შექმნის შესახებ;
- მრჩეელთა საბჭოს ოქმი;
- სკოლის ვებ-გვერდი;

1. სკოლაში გამოკრული ბანერები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლამ ვიზიტის ეტაპზე ვერ წარმოადგინა სტრატეგილი განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოგია. თუმცა არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია სტანდარტით გათვალისწინებული ძირითადდი საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლამ  წარმოადგინა სკოლის შვიდწლანი სტატეგიული განვითარების გეგმა (2022-2029), წარმოდგენილი დოკუმენტი საკმაოდ მრავალფუნქციური დოკუმენტია და სკოლის არსებული მდგომარეობისა და მისი განვითარების შესახებ დიდ ინფორმაციას იძლევა. შეფასებულია და გაანალიზებულია სკოლის თითქმის ყველა მიმართულება, აღნიშნული დოკუმენტის მსგავსად დამუშავება სკოლას მისცემს განვითარებისა და სწორი ღირებულებების დანერგვის საშუალებას, წარმოდგენილი სტატეგიული გეგმა არის ციკლური,  შეესაბამება სკოლის ფილოსოფიას და ორიენტირენულია სკოლის განვითარებაზე. **ინდიკატორი დამკაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია აქტივობების, პასუხისმგებელი პირების და აქტივობების განხორციელების გაწერილი თარიღებით. სკოლას საავტორიზაციოდ გამოგზავნილ თვითშეფასებაში იმ აქტივობების შესახებ, რომელიც თვითშეფასების დროს შეაფასა როგორც გამოწვევა და მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმა, ასახულია სამოქმედო გეგმაშიც, ნაწილი აქტივობებისა გასულ სასწავლო წელს უკვე განხორიელებულია, ხოლო ნაწილი კი თვითშეფსებაშიც ვკითხულობთ, რომ დაგეგმლია მომდევნო სასწავლო წელს. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, ეფუძნება სტატეგიული გეგმასა და სკოლის თვითშეფასებას. **ინდიკატორი დამკაყოფილებულია.**
4.სამოქმედო გეგმაში მიმართულებები (სულ:10 მიმართულება) წარმოდგენილია აქტივობებად, რომელსაც ჰყავს პასუხისმეგებლი პირები და გაწერილია შესრულების კონკეტული და რეალისტური ვადები. ის ღონისძიება, რომელიც უკვე გასულ სასწავლო წელს არის შესრულებული აღნიშნულია გეგმაში და მკითხველისთვის თვალნათლივ ჩანს რა აქვს სკოლას შესრულებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტატეგიული განვითარებს შვიდწლიანი გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმდო გეგმა.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1.სკოლამ ვიზტის ეტაპზე ვერ წარმოადგინა სტრატეგილი განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოგია. არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია სტანდარტით გათვალისწინებული ძირითადი საკითხები. ასევე მონიტორინგისა და შეფასების თემები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება #01-03 18 სტრატეგიული გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შესახებ, რომელიც დაკომპლექტებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და თვითმმართველობის თავმჯდომარეებისგან. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით და სკოლის თვითშეფასებასებიდანაც, ჩანს რომ სტატეგიული გეგმის მეთოდოლოგიის, მონიტორინგისა და საჯაროობის პასუხსმგებლობას სკოლა იაზრებს და გეგმავს ღონისძიებების გატარებას მომდევნო სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი, სადაც საჯაროდ არის გამოტანილი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების ნაწილი, სკოლაში შესვლისთანავე ვხვდებით ბანერებს, რომლითაც სკოლის სტატეგიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია გაზიარებულია სკოლაში შემომსვლელი პირებისთვის. ინტერვიურების საფუძველზე დადასტურდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, საჭიროებების ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. საჭიროებების ანალიზის, დაგეგმვისა და განხორციელების სკოლაში არსებული პრაქტიკა ადასტურებს შედეგების გამოყენებას სამომავლო განვითარებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის ბრძანება #01-03 18 სტრატეგიული გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შესახებ,
- შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის სტრუქტურა შეესაბამება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო სკოლის წესდებით განსაზღვრულ ნორმებს. სტრუქტურა მოიცავს სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის  დირექციას, ადმინისტრაციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტსა და მანდატურის სამსახურს. სკოლაში არსებობს სკოლის დირექტორის ბრძანება N 01-03/50 „სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის დირექციის წევრებს, ადმინისტრაციასა და შტატგარეშე მუშაკებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ“ და სსიპ-ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლებშიც დეტალურადაა წარმოდგენილი სკოლაში მომუშავე პერსონალის უფლება-მოვალეობები. სხვა დანარჩენი საკითხები რეგულირდება კანონმდებლობით გათვალისიწინებული ნორმების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. გარდა ფორმალურად არსებული დოკუმენტაციისა, ინტერვიურების საფუძველზე დადასტურდა, რომ ფუნქცია-მოვალეობები ყველა სტრუქტურულ ერთელს, მასწავლებელს და ადმინისტრაციას კარგად აქვს გააზრებული. დასახელდა კონკრეტული ქეისები, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელი გახდა თანამშრომლობითა საქმიანობის განაწილების პრინციპით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის ბრძანება N 01-03/50 „სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლის დირექციის წევრებს, ადმინისტრაციასა და შტატგარეშე მუშაკებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ“
- სკოლის სტრუქტურა;
- სსიპ-ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შრომითი ხელშეკრულებები;

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალიდასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;ს შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ფუნქცია-მოვალეობების მკაფიო განაწილება საფუძველს ქმნის პროცესების კანონმდებლობით დადგენილ ჩარჩოში განხორციელებისათვის. ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში თანამშრომლობით კულტურაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, და ასევე იმ მიზნებისა და ამოცანების შესრულება, რისი მიღწევას დაწესებულებას დასახული აქვს ზოგადად. დოკუმენტით განისაზღვრება თანამშრომელთა სამსახურში აყვანის, შერჩევისა და გათავისულების პირობები. კადრებთან მიმართებით ხარისხის მართვის საკითხები და მონიტორინგის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

3. სსიპ-ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის მიერ მასწავლებლების შერჩევისას გათვალისწინებულია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტური სა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული “მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შე წყვეტის წესის“ შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლის მიღება ხორციელდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისწავდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდებზე: www.pedagogi.ge , www.teachershjobs.ge. თუმც დასასრულებელია პირადი საქმეების ნაწილის შევსება (2020 წლის შემდეგ მიღებული პერსონალის) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის“ ცნობებით, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უფლების ჩამორთმევის შესახებ. არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად წარმოადგინა ზემოაღნიშნული ცნობები, თუმცა დასრულების თარიღად მითითებულია 2024 წლის 1 სექტემბერი, შესაბამისად, . **ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**

4. სკოლაში არსებული ხელშეკრულებებისა და პირადი საქმეების ანალიზით დგინდება (შემთხვევითი შერჩევა), რომ სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. სკოლაში ვიზიტის პერიოდში დასაქმებული იყო 106 პედაგოგი (ყველა სერტიფიცირებული) და ისინი სრულად არიან ჩართული პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიხედვით ხდება ადამიანური რესურსების მართვა. ინტერვიურების დროს ასევე დადასტურდა თანამშრომლობითი კულტურის არსებობა. კათედრების პორტფოლიოების ანალიზი აჩვენებს მრავალდეფოვან რესურსებს, რომლებიც ადასტურებენ გუნდური მუშაობის პრინციპების არსებობას დაწესებულებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. ინტერვიურების დროს დადასტურდა თანამშრომლობითი კულტურის არსებობა. კათედრების პორტფოლიოების ანალიზი აჩვენებს მრავალდეფოვან რესურსებს, რომლებიც ადასტურებენ გუნდური მუშაობის პრინციპების არსებობას დაწესებულებაში. დასახელდა კონკრეტული პრაქტიკები გამოცდილების გაზიარების, აღიარებისა და თანამშრომლობასთან დაკავშირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- კათედრის პორტფოლიოები;
- ხელშეკრულებები;
- ჩატარებული კონკურსების ამსახველი მასალები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

1. „ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმების“ დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის სათანადო ბრძანებით განსაზღვრავს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათ დადგენის მექანიზმებს, კერძოდ, საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, ურთერთდასწრებას, მოსწავლეთა პროგრესის ანალიზს. შემდგომ ამისა, მონაცეები ერთიანდება საერთო ანგარიშში, რომლის საფუძველზეც ხდება გადაწყვეტილებების მიღება პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. მასწავლებელთა პროფესიული საჭორბების დადგენისა და განვითარების საკითხები ასევე გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში. დასახელდა მაგალითები საერთაშორისო სერტიფიკატების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა. ასევე აღინიშნა, რომ სკოლაში მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად, ადგენს საჭიროებებს, რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს მასწავლებელი და აძლევს მას რეკომენდაციებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას განსაზღვრული აქვს გამოვლენის საჭიროებებზე დაყრდნობით პერსონალის განვითარების ეტაპები, რომელიც მოიცავს საჭიროების იდენტიფიცირებას, სათანადო რეაგირებას, სხავდასხვა აქტივობაში მონაწილე გუნდის განსაზღვრასა და მასწავლებელთა პროფესიული უნარების შეფასებას. სკოლის ხარისხმის მართვის ჯგუფის წევრები ესწრებიან კოლეგა მასწავლებლებს გაკვეთილებზე და დაკვირვების შედეგებისა და მასწავლებლის რეფლექსიების საფუძველზე, მასწავლებლების გეგმავენ თავიანი პროფესიული განვითარების გზას. ასევე, სკოლა, გამოცდილი მასწავლებლების მეშვეობით ეხმარება ახალდამწყებ მასწავლებლებს პროფესიული უნარების განვითარებასა და დახვეწაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. მასწავლებლებს აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების თაობაზე. ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქციაა საჭიროებების დადგენა, რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს მასწავლებელი. სკოლა მუდმივად სთავაზობს მასწავლებლებს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ტრენინგებს. ასევე მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრებზე მუდმივად განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები და მათი გადაწყვეტის გზები. სკოლა ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების გრძელვადიან საგანმანათლებლო პროექტებში. სკოლა ხელს უწყობს ახალი მასწავლებლის სოციალიზაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა ხელს უწყობს ახალი მასწავლებლის სოციალიზაციას. ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების შემდეგ სკოლის დირექცია ატარებს საინფორმაციო შეხვედრას და თანამშრომელს აცნობს ფუნქცია-მოვალეობების, ზოგადი წესებისა და კანონმდებლობის შესაბამისი მარეგულირებელი აქტების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

5. ვიზიტის დროს დადასტურდა სკოლაში არსებული პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების პრაქტიკა. მაგალითად, აღინიშნა, რომ როგორც ადგილობრივ ასევე საზღვარგარეთ პროგრამებში მონაწილეობას მასწავლებლები სკოლის მხარდაჭერით ახერხებენ. ასევე წახალისებულია მათი სხვა ინიციატივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის მართვის ჯგუფის დოკუმენტაცია;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- სერტიფიკატები, გაცვლითი პროგრამების ამსახველი დოკუმენტაცია.
- ადმიანური რესურსების მართვის მექანიზმის დოკუმენტი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში ვიზიტის პერიოდში არსებული დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიურების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ეტაპები დასახვეწია. დაგეგმე, იმოქმედე, შეაფასე, განავითარე - ციკლის ნაწილში **სკოლაში უნდა დაიწყოს მუშაობა შეფასებისა და მასი აღმწერი დოკუმენტების შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც თავს მოიყრის ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. საგანმანათლებლო პროცესის მართვა სკოლაში ხდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით (სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი) დადგენილი რეგულაციების შესაბამისად სკოლაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და მმართველობითი დამხამრე პროცესები, თუმცა დოკუმენტურად არ არის დადასტურებული, შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის შნაგანწესი წარმოადგენს დოკუმენტს, სადაც გაწერილია თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, წესი და პროცედურა გაწერილია სკოლის შინაგანაწესით. გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით დაინტერესებულმა პირმა შესაძლებელია მიმართოს სამეურვეო საბჭოს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

აუცილებლობის შემთხვევაში სკოლას შეუძლია შექმნას სააპელაციო კომისია. სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დარღვევათა ტიპები და დისციპლინური სახდელები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულება გაფორმებულია კანონმდებლობის დაცვით. იგი აწესრიგებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ურთიერთობას სკოლასთან და უზრუნველყოფს მის ჩართულობას სასკოლო საზოგადოებაში.სადამრიგებლო პროგრამებისა და დამრიგებელებთან ინტერვიურების საფუძველზე ასევე დადასტურდა მშობელთან მათ უფლებებსა და უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ კომუნიკაციის არსებობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამები;

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს სხვადასხვა პლატფორმა, რომელსაც იყენებს სასკოლო საზოგადოებასა და მშობლებთან ურთიერთბისათის, ინდივიდუალური საუბრების, დამრიგებლების მუშაობა, სოციალური ქსელი, ვებგვერდი, თიმსის პლატფორმები გამოყენებულია ინფორმაციის გავრცელებისა და უკუკავშირის მისაღებად. . სკოლას გააჩნია მშობლებთან ურთიერთობის პოლიტიკის დოკუმენტი. ინტერვიურების დროს დადასტურდა, რომ მსგავსი პრაქტიკა ნამდვილად არსებობს დაწესებულებაში. დოკუმენტურად, ცალკე მექანიზმი გაწერილი არ არის, თუმცა საინფორმაციო დაფა, სკოლაში მშობლის ვიზიტისათვის გამოყოფილი დღე და სხვა ზემოთაღნიშნული ადასტურებს, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოგილია სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიურ ორგანოებში კანონით გათვალისწინებული უფლებებითა და ჩართულობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

